

უქონლობის სახელები ქართულში

ნანა გობეჯიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე გამოყენებითი
ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ სუხიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა გობეჯიშვილი

25 ივნისი, 2021წელი.

აბსტრაქტი

სიტყვაწარმოება (დერივაცია) ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. ა. შანიძის მიხედვით, ფორმოზრივად ქართულში წარმოქმნილი სახელების ორგვარი წარმოება გვაქვს: ერთმაწარმოებლიანი (სუფიქსიანი) და ორმაწარმოებლიანი (პრეფიქს-სუფიქსიანი). უქონლობის სახელები პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოების მოდელით არის წარმოდგენილი. ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს უქონლობის სახელები, მათი წარმოება და სემანტიკა ქართულ ენაში.

კვლევის მიზანია, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოყვანილ ილუსტრაციებზე დაყრდნობით დადგინდეს, რა მსგავსება-განსხვავებაა უ-ურ და უ-ო მაწარმოებლიან სახელთა ჯგუფებს შორის სემანტიკური თვალსაზრისით, როგორაა განაწილებული განსხვავებული წარმოების სინონიმური შინაარსის სახელთა ფუნქციები და რა არის მათი მნიშვნელობის მოტივაციის საფუძველი.

ნაშრომი შედგება ორი თავისაგან. პირველი თავი წარმოადგენს ნაშრომის თეორიულ ნაწილს, რომელშიც მიმოხილულია სამეცნიერო ლიტერატურა უქონლობის სახელების შესახებ და აღწერილია ქონებისა და უქონლობის სახელების წარმოების მოდელები. ნაშრომის მეორე თავი - პრაქტიკული ნაწილი კი ეთმობა უქონლობის სახელების აღწერას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით და მათ სემანტიკურ ანალიზს.

კვლევა ლექსიკოლოგიური ხასიათისაა. ნაშრომში გამოყენებულია აღწერითი მეთოდი, ასევე, დაკვირვებისა და შედარების მეთოდები. განხილულია სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა.

საკვანძო სიტყვები: დერივაცია, უქონლობის სახელები, ქონების სახელები.

Abstract

Word production (derivation) is one of the means of enriching the lexical fund of the language. According to A. Shanidze, we have two types of production of names derived in Georgian according to the form: single-product (suffixed) and dual-product (prefix-suffixed). Absence names are represented by the prefix-suffix production model. The research topic of the paper is the names of absence, their production and semantics in Georgian language.

The aim of the research is to determine the similarities and differences between the groups of u-ur and u-o derivative names in terms of semantics based on the illustrations in the Georgian language. How the functions of synonymous content names of different productions are distributed and what is the basis for motivating their meaning.

The paper consists of two chapters. The first chapter is a theoretical part of the paper, which reviews the scientific literature on the names of property and describes the production models of property and property names. The second chapter of the paper — the practical part — is devoted to the description of the names of absence according to the explanatory dictionary of the Georgian language and their semantic analysis.

The research is lexical in nature. The paper uses descriptive methods as well as observation and comparison methods. Relevant scientific literature is reviewed.

Keywords: Derivation, Non Property Names, Property Names.